

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გივეის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გივეის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მომწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: თვეში 1 რუბლი—8 მან., ნ. ხევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ ღვე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს რუბლი

განცხადება: მიიღება ქარაილის, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებლისა: ლიტონით ვებით ასოზე—1 კაპ., სომხურზე—1 კაპ., სერბულზე—1 კაპ., რუსულზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცენტროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდებელთა გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

პირველი ენკენისთვიდან ამ მდგომარეა წლის დასაწყისამდე

„დროება“

ღირს სამ მანეთად

პირველი ლეინობისთვიდან წლის დასაწყისამდე—ორ მანეთად.

ხელის-მომწერა შეიძლება თფილისში: რედაქციაში, სერგივეის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типографіи. Въ редакцію газетъ „Дроება“.

საქართველო

ბათუმის გაგზავნა

ჩვენი ოფიციალური გაზეთის „ქვეყნის“ უკანასკნელს (218) ნომერში დაბეჭდილია „დროებათი წესდება ბათუმის მაზრის (ობლასტის) გამგეობაზედ“, რომელიც დამტკიცებულია (20 ენკენისთვეს, ქ. ბორჯომში) დ. მ. ძავეასის ნამესტნიკისაგან.

აი ეს წესდებულება:

მუხლი 1. ბათუმის მაზრა შესდგება ლაზისტნის სანჯაყის იმ ნაწილიდამ, რომელიც, ბერლინის ტრაქტატის ძალით, რუსეთის იმპერიას ერგო.

მუხლი 2. ბათუმის მაზრა ქვეყასიის სამხედრო განყოფილებას ემორჩილება, სამხედრო და ადმინისტრაციულის მხრით ქვეყასიის არმიის მთავარ-სარდალს.

მუხლი 3. ბათუმის მაზრის გამგეობა მინდობილი აქვს ბათუმის სამხედრო ლუბერნატორს, რომელსაც იგივე უფლება აქვს, როგორც შრალისა და ტურგაის სამხედრო ლუბერნატორებს.

მუხლი 4. სამხედრო და სამოქალაქო გამგეობაში ლუბერნატორი იხელმძღვანელებს ნამესტნიკისაგან მიცემულის ინსტრუქციით.

მუხლი 5. ბათუმის სამხედრო ლუბერნატორთან დანიშნულია თანაშემწე, რომელიც როცა თვითონ ლუბერნატორი არ არის, იმის თანამდებობას შეასრულებს და სამაზრო სასამართლოში თავისუფლმარეტ იქნება.

მუხლი 6. სამხედრო ლუბერნატორთან იქნება: ა) სამხედრო კანცლარია და ბ) სახალხო და სამოქალაქო საქმეების გამგეობა.

მუხლი 7. ქალაქ ბათუმს ერქმევა სახელად „ნავსადგურის“ ქალაქი. ქველა საქმეები ამ ქალაქის შესახებ ნამესტნიკის მთავარ სამმართველოს საშუალებით წარედგინება დასამტკიცებლად დ. მ. ძავეასიის ნამესტნიკს. სანამ მთავარ სამმართველო დამტკიცებს ბათუმის ქალაქის გამგეობის წესს, მანამ ლუბერნატორი და ბათუმის უფროსი ქალაქის პეტროვსკის წესდებულებით იხელმძღვანელებენ.

მუხლი 8. ადმინისტრაციულის მხრით ბათუმის მაზრას შეადგენს: სანავსადგურო ქალაქი ბათუმი და სამი ოკრუგი; თითო ოკრუგი კი სამ უჩასტკად არის გაყოფილი.

ა). ბათუმის ოკრუგი შესდგება: ბათუმის, ძინტრისის და ბანიეს უჩასტკებისაგან.

ბ). ართვინის — არდანუჯის, ართვინისა და შავშეთის უჩასტკებისაგან და

გ). აჭარის ოკრუგი შესდგება: ზემო-აჭარის, ქვემო-აჭარისა და მაჭახელის უჩასტკისაგან.

მუხლი 9. უფლება და მოვალეობა ოკრუგისა და უჩასტკის უფროსების განსაზღვრული იქნება ბათუმის ლუბერნატორისაგან და დამტკიცებული ნამესტნიკისაგან.

მუხლი 10. ბათუმის ლუბერნატორის არჩევითა და ძავეასიის ნამესტნიკის დამტკიცებით სახალხო გამგეობის თანამდებობაზედ შეიძლება ადგილობრივი მცხოვრებნიც დანიშნონ.

მუხლი 11. სახელმწიფოს ლალატისათვის, მთავრობის წინააღმდეგობისა, ხაზინის გაცარცვისა, ფოქტის თავდაცემისა, ცარცვისა, სახელმწიფო ქონების ცეცხლის წაქიდებისა, ტელეგრაფის გაფუჭებისა და განზრახ კაცის მოკვლისათვის ადგილობრივი მცხოვრებლები რუსეთის იმპერიის საზოგადო კანონებით იქნებიან გასამართლებულნი. სხვა ყველა დანაშაულს და აგრეთვე სამოქალაქო დავებს განარჩევს სახალხო სასამართლო ანუ მეჯლისი.

მუხლი 12. მეჯლისები დაწესდება: ექვსი უჩასტკებში და სამი ოკრუგში; ორი სამაზრო მეჯლისი იქნება: ერთი ბათუმში და ერთიც ართვინში.

მუხლი 13. ბათუმის მაზრის გარეშე ხალხი სახალხო სასამართლოთ არ გაისამართლებიან.

მუხლი 14. თითოეულ ოკრუგში იქნება ერთი ასი ქვეითა ჩაფრები მსურველთაგან შემდგარი (ზემსკაია სტრაჟა). ამას გარდა მთელ მაზრაში იქნება ასი ცენოსანი ჩაფარი.

მუხლი 15. მადასახალი და სხვა ყველა ხარჯი ბათუმის მაზრის მცხოვრებლებისა იგივე იქნება, რაც ადრე იყო, როდესაც მამალეთის მთავრობის ხელში იყვნენ. მადასახალის მომატებაზედ ანუ შემცირებაზედ და შემსუბუქებაზედ ბათუმის ლუბერნატორმა უნდა მოსთხოვოს ნება-რთვა ძავეასიის ნამესტნიკს.

დღისი

* * * ღღეს, შაბათს, და ხვალ მცხეთობის დღესასწაულობა და რალა თქმა უნდა, რომ დიდძალი ხალხი მოგროვდება საქართველოს ერთ-ღროინდელ სატახტო ქალაქში, მაგრამ ახლა მინგრეულ-მონგრეულ და უღაზათო სოფელს მცხეთაში.

ქველაზე მომეტებული ხალხი მართლის სოფლებიდან გროვდება. ქალაქი-დამაც ბევრი ემზადებიან, ჩვენ გვითხრეს, რომ ზოგიერთ ჩვენ „არისტოკრატებს“ თითოს თითო თუმანი გამოუღიათ და საგანგებო პიენიკის გამართვას აპირებენ მცხეთაშიო.

* * * რკინის გზის მატარებელი ღღეს ნასადილევსა და ხვალ მთელი ღღე ყოველ საათს იელის თფილისსა და მცხეთას შუა სასურველია, რომ რკინის გზის მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს წესიერებისა და რიგის დაცვას თფილისისა და მცხეთის სტაციებზე; თორემ სადაც უანგარიშო და დამთვრალი ხალხი გროვდება, იქ ადვილად შეიძლება უწესობა და მარცხიც მოხდეს...

* * * მომაჯალწელს მთელი რუსეთის სასულიერო უწყების შემოსავალი გამოანგარიშებულია 49,997 მანეთი, გასავალი კი—10,210,200 მანეთი. ამ თფულიდამ საქართველოს ეპარხისათვის უნდა დაიხარჯოს: 193,464 მან. და ამას

გარდა საქართველოს საეკლესიო უწყებას უნდა მიეცეს—20,290 მან. იმ საეკლესიო მამულების ნაცვლად, რომელიც სახელმწიფო უწყებაში ჩაირიცხა.

„დროების“ კორრესპონდენცია

სამბრკელია, 28 სექტემბერს. როგორც სხვა იმერეთის სოფლების, ესეც სამტრედიაც ხეხილით თუ ძირისმოსავლით, მდიდარი აღვილია. თუმცა ეს სიმდიდრე აქ დიდს ხნიდგანვე ყოფილა, მაგრამ აქაური მცხოვრებლები ერთობ მოკლებულნი იყვნენ თავიანთი სისხლით ოფლის შექმნილის სარგებლობისაგან: თითქმის მუქთათ მოსდიოდათ შრომა, ამისათვის რომ უცხო ვაჭარი ამათის ხილის და ძირის მოსავლის სასყიდლოთ აქ არ მოვიდოდა, სიშორისა გამო, და ესენიც გასასყიდათ ვერ წაიღებდნენ შორს აღვილს, და ამის გამო უღლებოდათ, უფუჭდებოდათ.

როგორც რკინის გზა გაისწრაფოთილამ შალაქადინ, მაშინ დაედო ამათ შრომას, ამათ ღვაწლს ფასი; ფასი და როგორი ფასი! მისაც თავის ვენახის, ხეხილის თუ ძირის მოსავლისა ერთი მანეთი სარგებლობა არ უნახავს, ახლა ერთი-ათად სარგებლობს, რადგან რკინის გზის მატარებელი აქ დღე და ღამე ოთხჯერ მოდის და მიდის სხვა-და-სხვა დროს.

ხალხი ჰყიდის აქ ყურძენს, ატამს, ლღვს, ნესეს და სხვა ხილს. ზოგიც მგზავრი მოდის მშვიერი, აქ ის იყიდის მჭადს, პურს, მოხარშულს სიმინდს, ქათამს, ყველს და სხვა ხორაგეულს. ზოგიც მოდის კიდევ ჯიშით საესე ვაჭარი, რომელიც გადმოხტება, დაეცემა აქ ქათამს, ბატს, იხვს, ინდოურს, გოქს, სტანციასთან ერთს არ გაუშვებს, აბაზიანში ექვს მაურს მისცემს, ჩაჭურის ვაგონში და წაიღებს.

ამნაირის ვაჭრობით ისრე განალისებულნი არიან აქაური მცხოვრებელნი, ძულაშეღებნი, საჭილოდგან და სანავარდოდგან, რომ ეს ამოდენი ვაჭრობა ცისმარეს დღეს მეტწილი 10 და 15 წლის ბავშვებიდან და ქალებიდან წარმოსდგება.

მაგრამ აი წავიდა მატარებელი და ხალხს, განსაკუთრებით ქალებსა და ბიჭებს ზოგი რამ დარჩათ გაუსყიდავი. ახლა აქაური მეღუქნეების დღესასწაული იწყება: დაესვიან ამ ბიჭებს და გლეხებს და ნახევარ ფასად აცლიან ხელიდამ ყველაფერს. მაგრამ ეს კიდევ არააფერი: ახლოგზადა ქალებს აწვალბენ და ეჭვობიან ისე, რომ უცხო ვაჭარს ვერ მოითმენს იმ საძაგლობის ცქერას და ბინძურ სიტყვების გაგონებას, რომელიც ამ ვაჭრებისაგან წარმოსდგება.

ა. თუთაივი

სამართალი

ძმის მოკვლა ცოლის გამო

ამ წლის 2-ს სექტემბერს ოდესის სასამართლოში გაიჩნია საქმე აზნაურის ღემენტი მსკუეატოვისა, რომელსაც აბრლებდნენ ძმის სიკვდილსა.

აი როგორ ყოფილა ამ საქმის გარემოება:

1869 წელს მოსკოვში ცხოვრებდა ერთი სახლობა, რომელიც შესდგებოდა ცოლ-ქმრისაგან და ორი ვაჟიშვილისაგან. ღემენტი სწავლობდა ექიმობას და უნივერსიტეტის მეორე კურსში იყო და პიმენა კი პეტროვისკის სამეურნეო აკადემიაში იყო.

ამ სახლობაში იყო მოსამსახურე 15 წლის გოგო სტეპანადა, რომელიც შეიყვარა ღემენტიმ და შეირთო. ჯვარწერის შემდეგ ორივე ძმები დაიჭირეს და ჩასვეს საპრობილეში ნეჩაევის საქმის გამო. სუდის გადაწყვეტილობით, ეს ორი ძმა გაგზავნეს სატანტო ქალაქილამ ერთ პატარა ქალაქში ბახმუტში; ღემენტიმ წაიყვანა თან თავისი ცოლი.

მართლდებოდა ღემენტი სწავლიდგან, (ის გაკვეთილებით ცხოვრობდა); ცოლმა უამბო, რომ იმისი ძმა პიმენი დასდევს მას და მოსვენებას არ აძლევს და წინა დღით სეირნობის დროს უნდოდა გაუბატოურება; მაგრამ ბევრის ხეწმის და პირობის შემდეგ, რომ ხვალ ის თავის ნებით მიეცემა მას, როგორც იყო მოიშორა თავილამ. ღემენტიმ უამბო ეს თავის დედას, რომელიც ამ დროს იქ იყო. დედა იმ წამსვე გავიდა ცალკე სახლში თავისი შვილით და დაუშალა ძმასთან სიარული. ბაეიდა ნახევარი წელიწადი. მიეცათ მათ ოდესსაში ცხოვრების ნება. ამ დროს გამოცხადდა ომი. პიმენი წავიდა ბალკანზე და რამდენიმე თვის შემდეგ ისეთ საცოდავ მღვთმარეობაში დაბრუნდა ის ოდესსაში, რომ ძმა იძულებული იყო მიეღო თავის სახლში.

იმან კიდევ დაუწყო დევნა თავის რძალს, რომელიც მუდამ შესხივოდა ქმარს. იმას ძალიან ებრალებოდა თავისი ძმა და ვერ გაბედა იმის გადგება, რადგან ეგონა, რომ იმისი ამნაირი ქცევა ავთამყოფობისაგან წარმოსდგება. იქნობამდინ მივიდა საქმე, რომ ის სთხოვდა თავის ძმას მიეტოვებინა ცოლი და დაეთმო იმისთვის, რადგან უიმისოთ ცხოვრება მას არ შეეძლო. ღემენტიმ აუხსნა იმისი თხოვნის უაზრობა, პირველათ იმით, რომ მას ჰყავს ორი შვილი და მეორეთ რომ სტეპანიდას სრულეობით არ უყვარს ის, პიმენი. ღემენტიმ მაინც კიდევ ვერ გააგლო თავისი ძმა და ყოველთვის ცდილობდა ესამოვნებინა, რადგან ავთამყოფი იყო. მაგალითად, პიმენის თხოვნით ღემენტი აღარ წევბოდა თავის ცოლის საწოლ ოთახში და ძმასთან ერთს ოთახში იწვა. ის თავის თვალთ ხედავდა, რომ ღამე შე-

უფარდებოდა ხოლმე იმის ცოლს, მაგრამ, რადგან ღემენტი დაწესებული იყო თავის ცოლს ქვეყნისთვის არაფერს ეუბნებოდა. პიმენი ერთხელ დაემუქრა კიდევ, რომ ამოწყვეტს ძმისსახლობას, და ამის გამო ღემენტი თავქვემ ინახავდა რევოლვერს.

სალამოს 16 აგვისტოს ღემენტი თავის ცოლით დაბრუნდა ღამის 11 საათზე; თორმეტ საათზე დაწვენენ, ცოლი თავის ოთახში და ორი ძმანი თავიანთში. საათის სამზე ღემენტი გამოაღვიძა თავის ცოლის ყვირილმა. იმას გარკვევით ესმოდა ცოლის სიტყვები: „მამიშვიტ!“ და თავის ძმის ყვირილი, რომელიც იძახდა: „მობძანდი, ნახე როგორ იხრიალებს შენი ქმარი!“ ღემენტიმ იმ წამსვე გაიგო, რომ ეს მუქარა მას შეეხება. ამ სიტყვების შემდეგ დაინახა თავისი ძმა, რომელიც იმის ლოგინისაკენ მოდიოდა და ცოლი, რომელიც ეხვეწებოდა: „ნუ ერჩითო!“ ის წამოხტა ლოგინილამ, მივარდა რევოლვერს და ესროლა პიმენს, რომელიც წაიქცა. დაკოდილმა სთხოვა თავის ძმას, რომ მიეცა კალამი და მეღანი და დაეწერა, რომ თვითონ თავის ხელით მოიკლა თავი. მაგრამ ღემენტი არ დათანხმდა. შემდეგ დაჭრილმა სთხოვა, რომ კიდევ ესროლნა და ჩქარა მოეკლა, რადგან ძალიან წვალობს. ღემენტიმ ორჯერ კიდევ ესროლა თავში და იმწამსვე მოჰკლა.

ძმის მოკვლის შემდეგ, ის თითონვე წავიდა თავის სახლის პატრონთან და უამბო, რომ ძმა მოჰკლა და მალე გაეგზავნათ ექიმუნდ და პოლიციისთვის შეეტყობინებინათ.

ოდესის ოლქის სასამართლო, რომელმანც ეს საქმე განიხილა, გამართლა ღემენტი მსკუეატოვი, თუმცა ცხადათ დამტკიცდა, რომ იმან თავის ძმა მოჰკლა.

თვალთი — სომხების ხელში

უ. პლატონ მოსკოვიანისაგან და უ. დიმიტრი ბაქრაძისაგან დაწერილს საქართველოს საეკლესიო აღწერებებში სრულეობით არ არის თელეთის ეკლესია მოხსენებული, თუმცა უ. დ. ბაქრაძე კი იტყენულობს, რომ ეს ეკლესია წარსულს საუკუნეში ქართველებისა იყო და სრულიად მის მცხოვრებნიც ქართველებიო.

მაგრამ ახლა კი ეს ეკლესია, რომელსაც მთელი მართლ-მანეთი თაყვანს სცემს, თავის დიდს მამულებით სომხებს უპყრიათ ხელში.

მე შევეკრიბე რამდენიმე ცნობა თუ როგორ ჩაიგდეს სომხებმა ეს ეკლესია ხელში, და რადგან ყოველი ამ გვარი ფაქტი ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს, ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ ამაზე: წარსული საუკუნის დამლევეს, როდესაც საქართველოში ხმა გავრცელდა, რომ ალა-შაჰად ხანი საქართველოზე გალაშქრებას აპირებოდა და როდესაც ეს

ხმა ოქლეტის მცხოვრებასა და მის ახლო-მახლო სოფლებს შიუტყეით, მათში დიდი არე-დარევა მომხდარა და ვაი-ვაგლახი. ამ დროს ოქლეტის მცხოვრებნი დიდს შიშთანაა და ჩაფრთხილნი, ალა-მაჰად ხანი რომ მოვა, პირველათ ჩვენ დახვდებით გზაში და სულ ყველას ფეხ ქვეშ გავგვარისამოს და უმჯობესი იქნება, რომ ახლავე მოვაშორეთ თავებო და წავიდეთ სადმეო.

ამ მოთქმებისა და დაწყობილების დროსვე იქაურს გლახობას თხოვნა მიუტარებდათ მეფე მრეკლისთვის, რომ ნება მოგვეცით, ჩვენი სოფლები დამ ავიყარნეთ და გადაესახლდეთ მართლისკენ ანუ ქახეთისაკენ.

სანამ მეფე მრეკლესაგან პასუხს მიიღებდნენ თურმე, ოქლეტის ეკლესიის მღვდელი და სხვა მღვდლები მიართმევდნენ ანტონ ძათალიკოზს თხოვნას, რომ ჩვენ იქ არ შეგვიძლიან დგომა და ნება მოგვეცით ავიყარნეთ იქიდანაო, ალა-მაჰად ხანი ბანჯას მოუახლოვდა და ღლეს თუ ხვალ ჩვენს სოფლებთანაც შემოვლენ და ამოგვწყვეტამენ სულაო.

ანტონ ძათალიკოზმა მღვდლებს პასუხი მაშინათვე არ მისცა და უთხრა, რომ მეფე ირაკლის უნდა წარუდგინოთ ქვენი თხოვნაო, რადგანც თქვენი საქმე სამოქალაქო რჯულს დებასაც შეეხებაო.

მართლაც ანტონმა იმათი თხოვნა წარადგინა მეფე მრეკლესთან. მრეკლესაგან პასუხი მალე ვერ მიიღო, რადგან სამეფოს არე-დარევა იყო. მღვდლებმა რომ პასუხი ვეღარ მიიღეს, აიყარნენ და წავიდნენ მართლისკენ და გლახობაც გაჰყვა თან ერთიანათ.

ალა-მაჰად-ხანს შემდეგ ხალხი დამშვიდდა, დაწყნარდა და ყველანი თავიანთ სახლ-კარს ეკიდებოდნენ; მაგრამ თელთელტელები მაინც არ დაბრუნებულან ოქლეტში და ყველა იქაური მამულები დარჩენილან ოხრათ და ეკლესიაც უპატრონო.

შემდეგ იქ ანტონ ძათალიკოზს მღვდელი გაუმწესებია, რომელსაც მოუყვლია ეკლესიისთვის. მთელი მართლ-ქახეთის გლახობა ამდროს მაინც დადიოდნენ სალოცავათ და დიდს ნივთებსაც სწირავდნენ.

ამავე დროს, როდესაც სოფელი ოქლეტი და მის ახლო-მახლო სოფლები მცხოვრებლებისაგან ცარიელი იყვნენ, ბოლნისელს სომხებს მიუერთებიათ თხოვნა მეფე მრეკლესთვის, რომ ნება მოგვეცით, აქეთ მხარს სოფლებში გადმოვსახლდეთო.

მრეკლე თუმცა ნებას აძლევდა, მაგრამ ანტონ ძათალიკოზი არა შერებოდა თურმე. მაგრამ შემდეგ ესეც დათანხმებულია მხოლოდ იმ პირობით, რომ ოქლეტის ეკლესიისათვისაც ყური ეგდოთ. იმ სომხებისაგან მართმეული თხოვნა მე დღეს ხელში მაქვს.

შემდეგ დასახლებულან კიდევ და ეკლესიაც გადუქვებიათ. ეს მომხდარა ანტონ ძათალიკოზს სიკვდილის შემ-

დეგ. სანამ ანტონი ცოცხალი ყოფილა, იქ ჩვენი მღვდელიც ყოფილა და სხვა, და ანტონის შემდეგ კი მღვდელს მიუყიდნია თუ სომხებს ძალით წაუერთებიათ—ეს არ ვიცით, მხოლოდ ეს ვიცით, რომ ეკლესია სომხებმა ჩაიგდეს ხელში. დღესაც მოიპოვება ოქლეტზე ძველი გუჯარები, რომლიდანაც ცხადათ სჩანს, რომ ქართველებისა ყოფილა. ანტონის შემდეგ, არამც თუ ის, საზოგადოათ მთელი საქართველოს ეკლესიებსა საქმეც ცუდათ წასულა. . .

ზ. მთაწმინდელი

უსხო ქვეყნები

ოსმალეთი

ძანდიის კუნძულის ნაციონალურ კრებას გარდაუწყვეტია, რომ შესწყვიტონ ოსმალეთისაგან გამოგზავნილს მუხთარ-ფაშასთან მოლაპარაკება და შეუთვალონ ოსმალეთის მთავრობას, რომ ისინი მხოლოდ მაშინ დაჰყრიან თოფ-იარაღს, როდესაც იმათი სამშობლო ქვეყანა საბერძნეთს შეუერთდებაო.

—იქუწესოების თაობაზედ, რომელიც რუსის ჯარების სან-სტეფანოლამ წამოსვლის შემდეგ მომხდარა იმ ადგილებში გაზეთს „თაიმში“ იწერებია:

„რუსის ჯარების წასვლის შემდეგ ჩატალჯისთან დიდი უწესოება მოხდა. შანატიკი-მუჟულმანები დაეცნენ თავს ქრისტიანებსა და რამდენიმე კაცი დახოცეს. ჩემქვეს მახლობლად 60 მკვდარი კაცი ნახეს. სტამბოლის გაზეთები ამტკიცებენ, რომ ეს უწესოება ოსმალთს გაეარდნილ ავაზაკებმა მოახდინესო.

„ამ უწესოების მოსასპობელად ოსმალეთის მთავრობამ გაგზავნა ჩემქვესაკენ ჯარები, რომელთაც მალე ალაღვინეს წესიერება და ბევრი დამნაშაუები დაიჭირეს.“

აპსტრია

მენის ოფიციალურს გაზეთებში დაბეჭდილია მთავრობის ტელეგრამა, რომ აესტრიის ჯარებმა აიღეს უკანასკნელი სიმაგრეები აჯანყებულთა. ბოსნიელები-საო და ამ ნაირად ახლა მთელი ბოსნია დამშვიდებულია და აესტრიის სრულს მფლობელობაში არისო.

რუმინია

ამბობენ, რომ ლობრუჯუში, რომელიც ბერლინის პონგრესმა ბესარაბიის ნაწილის მაგიერად დაუთმო რუმინიას, აჯანყება მოხდებოდა, რადგან იქაურ მაჰმადიანებს არ უნდათ რუმინიასთან შეერთებაო.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტო ასო)

სტამბოლი 28 სექტემბერს. ს. აშის პატრიარქის სადგომში იყო სხდომა სომხურ ნაციონალურ კრებისა, რომელმანც მოიხმინა კომისიის მოხსენება მცირე აშის სომხების თაობაზედ პატრიარქის განკარგულებისა. ძრებამ მოითხოვა ზოგიერთი დოკუმენტები, ვაარჩია ეს საქმე და ბოლოს კრება ისე დაიშალა, რომ პატრიარქის მოქმედებაზე არც ავი სთქვეს არც კარგი.

ოსმალეთის ფინანსიური მდგომარეობა თან-და-თან უარესად მიდის. საშინელი სიძვირეა. შაიმეს (ქალაქის ფულის) ფასი თან-და-თან ვარდება. ოსმალთს ლიერში, რომელიც 100 პიასტრად ღირს, ახლა 360 პიასტრს აძლევენ ყაიმეს ფულით.

სტამბოლი, 38 სექტემბერს. ოსმალეთმა გამოუცხადა აესტრიას, რომ იმას უნდა ჰქონდეს უზენაესი უფლება ბოსნიასზე და ჰერცოგოვინასზედ.

სტამბოლი, 20 სექტემბერს. საჭეტ-ფაშამ სთხოვა ხონთქარს მთავარ-ვიზირის თანამდებობიდან განთავისუფლება, რადგან ბოსნიის თაობაზედ იმასა და დანარჩენ მინისტრებს შუა უთანხმოება მოხდა. ხონთქარმა არ დაითხოვა ჯერ საჭეტ-ფაშა. ბუშინ, ორშაბათს, აქ გაეარდა ხმა, რომ ფინანსის მინისტრად დაინიშნება სადიყ-ფაშა, საზოგადო მუშაობათა მინისტრად — ჰეიმედლინ-ფაშა და მითხად-ფაშა შინაგანი საქმეების მინისტრათაო. საჭეტ-ფაშა კი ისევ მთავარ ვეზირად დარჩებოდა.

აესტრიასა და ოსმალეთს შუა უკმაყოფილება ჩამოვარდა.

ვენა, 29 სექტემბერს. ბაზეთს „მანერ პენდროსტში“ კელნის ბაზეთიდან გადმობეჭდილია ოსმალეთის ნოტა, და თან დართულია შემდეგი სიტყვები: „ამ ნოტას განმარტება არ ეჭირება; უიმისოთაც, თავისთავადაც ცხადია ყოველის მხრით იმის ნაკლულეანება“

ვენა, 28 სექტემბერს. რუსის ელჩი ლობანოვ-როსტოვსკი იყო გუშინ ხონთქართან და სთხოვა იმას, რომ არავითარი შეწუხება არ მიაყენონ მაჰმადიანებმა იმ მაზრების ქრისტიანებს, რომლიდანაც რუსები გავიდნენ.

როდოპის აჯანყებულების წინამძღვარი ინგლისელი სინკლერი გამოავდეს ამ აჯანყებულებმა და ის ახლა სტამბოლში მოვიდა. შოხანის აჯანყებულების მოთავემ მორჩილება გამოაცხადა.

ბანსხალეზანი

თფილისის ძალაჰის გამგეობისაგან.

საჭიროა სახლი უფროსი ვოლინიანისტრის სადგომად, იმის კანცელარიისა და არხივისათვის და აგრეთვე პაქარის კამარისათვის.

ეს სახლი უნდა იყოს სადმე შუაგულ ქალაქში; იმას უნდა ჰქონდეს საჯინიბო (კანოუნა) ვინც ცხენის დასაყენებლად, დიდი ეზო და მოთავსებულ დიდი ალყაფის კარები.

თფილისის ძალაჰის გამგეობა სთხოვს იმ სახლის-პატრონთ, რომელთაც ჰსურთ ამ საჭიროებისათვის სახლის გაქირავება, მოვიდნენ გამგეობაში (შარაფაში) მომავალ ოქტომბრის თვის 5 რიცხვამდე და ამასთანავე წარმოადგინონ თავიანთი დაწერილებითი პირობები.

(3-2)

გიგო ჩაკვიანის წიგნის მალაზიაში ისქიდება:

„ნიხლ“

მოთხრობა თავადი რაფიელ შრისთვისა დასი 15 კაპიტი.

იქვე ისქიდება იმისივე

„იგავ-არაკნი“

გამოკრებილი საბა-სულხან ორბელიანის სიბრძნე-სიტყვიდამ და გალექილი თ. რაფ. შრისთვისაგან. დასი ორი შაური.

ბერენ შტამის წიგნის მალაზიაში, თფილისში, ბალაიენის პროსპექტზე, ისქიდება რუსულს ენაზე დაწერილი წიგნი „გატონ-ჟომბის უფლება საქართველოში“ („Крѣпостное Право въ Грузинѣ“). თითო წიგნის დასი ოთხთმეტი შაური, გაგზავნილ ოთხი აბაზი.

დაიბეჭდა და ისქიდება უფ. გიგო ჩაკვიანის წიგნის მალაზიაში—და თელავს სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანცივეთან ახალი წიგნი.

ლექსთა კრება

თ. ბრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ შურცელოძისი, ივანე პერესელიძისი, იოსებ ბაქრაძისი და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული ზაქარია შიჭინაძისა დასი ორი შაური.

გამოვიდა და ისქიდება

გვექვსე კარი „შარამანიანისა“

ქ. თფილისში, მიხაილოვის ხილზე, მირონიძის შენობაში, მხოლოდ ს. არტ. მართანოვის წიგნის მალაზიაში.

დასი 40 კოპ.

მსურველს შეუძლიან მიიღოს ამ წიგნის მალაზიაში I, II, III, IV და V კარი „შარამანიანისა“.

იბეჭდება და მომავალ თვეში გამოვა მეშვიდე კარი „შარამანიანისა“.

(3-3)

ვისელსონის სტამბაში

რომელიც იმყოფება ბალაიენის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში მიღებულთა ყოველ ნაირი ახალი ქართული შრიფტი, ე. ი. ასოები.

მსურველს შეუძლიან მომართოს ამ სტამბას ქართული ბროშურებისა და წიგნების დასაბეჭდათ.

გამოვიდა და ისქიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ბრ. ჩჩუელისა რომანტიდამ „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

ქ. მუსხისაგან.

ისქიდება: თფილისში—ყველა წიგნის მალაზიაში, შუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

დასი ხველგან ექვსი შაური.

16-ს აგვისტოდამ გაიხსნა

ქ. შუთაისში

„წიგნის მალაზია“

დაც ისქიდება ყოველ-გვარი სახელმწიფო წიგნი (учебники), რუსულსა და ქართულს ენაზე. ბარდა სახელმძღვანელო წიგნებისა „მალაზიაში“ ისქიდება სხვა ყოველ-გვარი საკითხავი წიგნებიც, აგრეთვე რუსულსა და ქართულს ენაზე.

ამავე მალაზიაში იმყოფება მთლიანი განყოფილება ძველ-სამსწავლოებლო უწყების კომისიონერის უ. მართანოვის წიგნის მალაზიისა.

მალაზია იმყოფება: მიხაილოვის ქუჩაზე, უ. ხარაზოვის სახლებში, ძლუბის ქვემოთ.

ისქიდება პარტიითა და თითო კულითაცა თამბაქო, მანოკა, ნაკლებ ფასათ.

აღრმისი: ბალერეი არწრუნისა, № 146. ივანე ალხაოვი.

რ. ბ. ზ.	დ. ლ.	ს. ლ.	II კ.	III კ.	ბელგრაფი	მ. კაპ.	გაზანდა	მ. კაპ.	თფილისის სამკურნალო
თფილისი	9 21	5 18	კაპ.	8 კაპ.	მ. კი სილვა თფილისიდან:		თფილისი, 29 სექტემბ.		ქრევის მედნაზე, წინამძღვარის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	-68	-38	ქუთაისს, შოთს	1-	ფ. თ. ბანჯრა, ფ.	180	უკეთესებს მიიღვენ ყოველს დღე-ღობის 9 საათიდან 1-მდინ.
ბორი	11 58	9 43	240	133	ბორს, ლუშეთს, სიღნაღს	50	ფ. ვილი წ. თელი	155	მ. შაბათს: მერმიშვილი და ბალაიენი—შინაგ. ავთ., ძიქრა-
ხაშური	1 29	11 57	392	218	როსტოვს, მდებს, მოსკოვს	2-	ქერი ფუთი	140	როსტოვს—საჯარო ექიმი და საშვი-
სურამი	1 44		442	246	პეტროპოლს, ვარაგას	2-	ბამბა მრეცისა, ფუთი	750	ლოს რაზრაციები.
შვირილა	5 49		581	323	მსხალეთში, შვიცი-რაში	3-	—პერიკია, ფუთი	850	სამშაბათს: მერმიშვილი—შინა-
რიონი	6 57		675	375	იტალიაში და ს. ფრანგეთში	350	ბაპენტოლი ბ მბა ფუთი	10-	ნაგ. პ. ბ. ხეტოვი—სამბიო და ბაგ-
სამტრედია	7 51		773	429	ინგლისში	375	მატყლი თფიური ფუთი	850	შვის, პეტროვი—თვალის.
ახალ-სენაკი	8 43		857	476	ფოქტა		—თარაქმისა ფუთი	450	მ. თხშაბათი: მერმიშვილი ში-
შოთი	9 50		975	542	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარ- თ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მსურ.—პარასკ. და ორშ. ძი- ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაი- სიდან: თფილისისა და შოთის კენ- ყოველ დღე; კვირას გარდა. მსურ- გეთს—ორშ. და პარასკ.		—თარაქმისა ფუთი	2-	ნაგანი.
შოთი	9 3				წიგნებს გაგზავნა რუსეთში კაპ და სამზღვარ გარეთ:		აბრეშუმი ნუხური სტ. ქონი, ფუთი	620	ხუთშაბათს: მერმიშვილი—ში-
ახალ-სენაკი	10 14		118	-66	ლია წიგნი	4	ქონის სანთლი ფუთი	8-	ნაგ. პ. ბ. ხეტოვი—სამბიო და ბაგ-
სამტრედია	11 5		26	114	დ. ბ. კილიის (ხმი მისხალი)	8	სტეარინის სნთელი ფუთი	1220	მ. თხშაბათი: მერმიშვილი ში-
რიონი	12 13		34	169			ხორცა ძროხისა, ლიტ	81-	ხუთშაბათს: მერმიშვილი—ში-
შვირილა	1 18	ლაგ.	398	221			—ცხვრისა, ლიტა	90-	ნაგ. პ. ბ. ხეტოვი—სამბიო და ბაგ-
სურამი	5 12		110	533			სპარტი ვედრო	480	რი და სამარტე ორგანების.
ხაშური	5 39		137	584			შაქარი, ბროც. ფუთი	740	პარასკევს: მერმიშვილი—შინაგ.,
ბორი	7 5		487	364			—ფხვნილი ფუთი	6-	ბ. ბახტოვი—სამბიო ქალიხა და
მცხეთა	8 50		659	985			ქავე გრგვლი, გირვ.	70-	ბაგვების.
თფილისი	9 31		756	975			ეთი ქუნჯუთისა ფუთი	14-	შაბათს: მერმიშვილი შინაგ., და
							თამბაქო, ხაშულო ფუთი	615	პეტროვი—თვალისა.